სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080184910994620

№ 5187

16 / დეკემბერი / 2020 წ.

შპს „თბილსერვის ჯგუფისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 14 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ SMP200005299 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია გადასახადების ამოღების მომსახურება (CPV-79900000 - სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები; CPV-79941000 - გადასახადების ამოღების მომსახურება), ღირებულებით - 85524 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის № 01.01.01 განკარგულებით, შპს „თბილსერვის ჯგუფს“ დაევალა განახორციელოს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების ორგანიზება, მონაცემთა ბაზების დროული განახლება (მომხმარებელთა-ამოღების ორგანიზება, მონაცემთა ბაზების დროული განახლება (მომხმარებელთა გადამხდელად დარეგისტრირება, არსებულ დარიცხვაში კორექტირების შეტანა, დარიცხვის შეწყვეტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის N17-46 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად) და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა მიმართვის შემთხვევაში, მოსაკრებლის გადამხდელთათვის დარიცხული მოსაკრებლის კორექტირება და მონაცემთა ბაზაში ასახვა. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 13 ოქტომბრის №24/3 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში სს „თელასის“, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ და თბილისის დასუფთავების საქალაქო სამსახურის (ამჟამად, დასუფთავების სამსახურის უფლებამოსილებები დაკისრებული აქვს შპს „თბილსერვის ჯგუფს“) მიერ (შემდგომში მომსახურების გამწევი პირები) ელექტროენერგიის განაწილება, წყალმომარაგება, დასუფთავების მომსახურება (შემდგომში მომსახურება) და შესაბამისი საფასურის/ მოსაკრებლის გადახდევინება ხორციელდება ადმინისტრირების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემით. ერთიანი სისტემის ადმინისტრატორებად განისაზღვრა სს „თელასი“ და სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, მათი ელექტროენერგიის განაწილების სალიცენზიო არეალის მიხედვით (ქ. თბილისის საზღვრებში).

აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, „ადმინისტრატორი“ ახორციელებს მომსახურების საფასურის/ მოსაკრებლის შესახებ გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი ინფორმაციის ერთიანი ქვითრების მეშვეობით მომხმარებლებისთვის მიწოდებას, მომსახურების საფასურის/მოსაკრებლის მონიტორინგს და ქვითარში ასახული ერთ-ერთი საფასურის და/ან მოსაკრებლის გადაუხდელობის, ან არასრული გადახდის შემთხვევაში, დავალიანების დაფარვამდე წყვეტს მომხმარებლისთვის თავისი მომსახურების გაწევას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის შესაბამისად სს „თელასის“ მიერ ელექტროენერგიის განაწილების არეალი მოიცავს ქალაქ თბილისს, ხოლო სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ლიცენზიის თანახმად მათ მიერ ელექტროენერგიის განაწილების არეალი სხვადასხვა ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებთან ერთად მოიცავს ქ. რუსთავს, ქ. მცხეთას და გარდაბანს, რომლის ტერიტორიების ნაწილიც საქართველოს პარლამენტის 2006 წლის დადგენილების საფუძველზე შემოუერთდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შესაბამისად ელ-ენერგიის განაწილებას შემოერთებულ ტერიტორიებზე ახორციელებს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“.

ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასუფთავების მოსაკრებლის გადაუხდელობისათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის ან/და გადახდის შემთხვევაში აღდგენის ვალდებულება გააჩნია ერთიანი სისტემის ადმინისტრატორებს სს „თელასს“ და სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს და არა შპს „თბილსერვის ჯგუფს“. შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს უფლებამოსილებას განეკუთვნება მხოლოდ დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვისა და ამოღების ორგანიზება, რომელსაც ახორციელებს სს „თელასთან“ და სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-სთან სპეციალურად საამისოდ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (რომელიც გაფორმებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 13 ოქტომბრის №24/3 გადაწყვეტილების მე-3 მუხლის შესაბამისად).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 13 ოქტომბრის №24/3 გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების სხვა ალტერნატიული საშუალება შპს „თბილსერვის ჯგუფს“ არ გააჩნია.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მათ შორის საქართვლოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 13 ოქტომბრის № 24/3 გადაწყვეტილებიდან ირკვევა, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში, ადმინისტრირების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის მეშვეობით, ელექტროენერგიის განაწილება და დასუფთავების მომსახურების საფასურის/მოსაკრებლის ადმინისტრირება ხორციელდება სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ, თავის მომხმარებლებთან მიმართებაში და შესაბამისი ლიცენზიით განსაზღვრული ელექტროენერგიის განაწილების არეალის მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს სხვა პირი, რომელსაც უფლება აქვს მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას მომართვაში მითითებული მომსახურება, ქალაქ თბილისის მოსახლეობის კონკრეტულ ნაწილთან მიმართებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს შპს „თბილსერვის ჯგუფის“ SMP200005299 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე